საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ივლისი-სექტემბერი 2021

ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება ნიუ იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციასთან

16 სექტემბერს, ნიუ იორკის შტატის დედაქალაქ ალბანიში, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ - დავით ასათიანმა და ნიუ იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა - ენდრიუ ბრაუნმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას.

შეთანხმების თანახმად, ნიუ იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციაში გაიხსნება საქართველოს სექცია, რომელში ინდივიდუალური გაწევრიანების შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ ქართველ ადვოკატს მიეცემა. საქართველოს სექციის ფარგლებში, ნიუ იორკის ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობით გაიმართება შეხვედრები, კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები და სხვა სახის ღონისძიებები, რაც ქართველ ადვოკატებს შესაძლებლობას მისცემს გაეცნონ ამერიკულ პრაქტიკას, გამოცდილებას და ამერიკელ კოლეგებთან დაამყარონ მჭიდრო პროფესიული ურთიერთობა.

პრეზიდენტმა ბრაუნმა მზადყოფნა გამოთქვა ნიუ იორკის ადვოკატთა ასოციაციის რესურსებითა და გამოცდილებით მხარი დაუჭიროს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ნაფიც მსაჯულთა სამართალწარმოებაში ქართველი ადვოკატების ცოდნისა და უნარების გაძლიერების მიმართულებით.

სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმდა

15 სექტემბერს, ნიუ იორკის შტატის ქალაქ სირაქიუზში, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ - დავით ასათიანმა და სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანმა - კრეგ ბოიზმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი .

მემორანდუმის ფარგლებში, მომდევნო აკადემიური წლიდან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეები შეძლებენ ისარგებლონ სპეციალური სტიპენდიით, რომელიც გავრცელდება ყველა სასწავლო პროგრამაზე - მაგისტრატურა (LLM), დოქტორანტურა (PhD), იურის დოქტორი (J.D) და მოიცავს პროგრამის ღირებულების მინიმუმ 50%-იან თანადაფინანსებას.
მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს ადვოკატთა ასოციაციის წევრების, ლექტორების და ტრენერების მონაწილეობას სირაქიუზის უნივერსიტეტის სხვადასხვა მოკლევადიან გაცვლით და კვლევით პროგრამებში.

დავით ასათიანი და შეილა ბოსტონი მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა შეხვედრა გამართა ქალაქ ნიუ იორკის (NYC) ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტთან, შეილა ბოსტონთან.

შეხვედრაზე მჭიდრო თანამშრომლობის გზებსა და საერთო ღონისძიებების დაგეგმვაზე შეთანხმდნენ. მათ შორის, ამერიკელი კოლეგების ვიზიტზე საქართველოში.

ქალაქ ნიუ იორკის ადვოკატთა ასოციაცია მხარს დაუჭერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას პრო-ბონო მიმართულების განვითარებაში.

საუბრისას ხაზი გაესვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემაში ქართველი ადვოკატების როლისა და უნარ-ჩვევებს გაძლიერების აუცილებლობას, რა მიზნითაც ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატი ჩამოყალიბდება.

ქართველ ადვოკატებს ამერიკელ კოლეგებთან ერთად მუშაობის შესაძლებლობა ექნებათ

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ - დავით ასათიანმა და აშშ-ს სასამართლოების ნაციონალური ცენტრის (NCSC) ვიცე-პრეზიდენტმა - ჯეფრი აპერსონმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ქართველი და ამერიკელი იურისტების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების გამართვას ითვალისწინებს.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში NCSC - ის წარმომადგენლები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის მიმართულებით ხანგრძლივ გამოცდილებას ქართველ კოლეგებს გაუზიარებენ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ვაშინგტონის ადვოკატთა ასოციაციის (DC BAR) ხელმძღვანელებს შორის შეხვედრა შედგა

შეხვედრაზე მხარეები თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატზე შეთანხმდნენ, მათ შორის - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში პრო-ბონო იურიდიული დახმარების სისტემის ინსტიტუციონალიზაციის, სამოსამართლო კანდიდატების შეფასების სისტემის სრულყოფისა და განგრძობადი იურიდიული განათლების მიმართულებით.

ვაშინგტონის ადვოკატთა ასოციაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო-ბონო და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაში ჩაერთვება

ვაშინგტონში საქართველოსა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციებს (ABA) შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე იმსჯელეს

21 სექტემბერს, ვაშინგტონში, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის, ABA ROLI - ის დირექტორ - ალბერტო მორასთან და ABA-ის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევები, სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით არსებული ვითარება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ჩვენი მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას უკავშირდება.

ალბერტო მორამ ხაზი გაუსვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მნიშვნელოვან როლს საქართველოში სანდო და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შენების პროცესში და განაცხადა, რომ ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია უფრო აქტიურად გააგრძელებს ჩვენს მხარდაჭერას ამ პროცესში.

ადვოკატთა ასოციაციის ახალი შენობის დიზაინმა საერთაშორისო არქიტექტურული ჯილდო მიიღო





საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალი სათაო ოფისის კონცეფცია და დიზაინი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს - Global Architecture & Design Award -ის 2021 წლის გამარჯვებული გახდა. არქიტექტურული პროექტის ავტორი დავით ცუცქირიძეა.

ადვოკატთა ასოციაციის ახალი ადმინისტრაციული შენობა, რომელიც საქალაქო სასამართლოს უკან მდებარეობს ორ სართულსა და ტერასას მოიცავს. შენობის სამკუთხედის ფორმის არქიტექტურული კონცეფცია სიმბოლურია და მართლმსაჯულების სამ აქტორს გულისხმობს ესენია : ადვოკატურა, სასამართლო და პროკურატურა.

ერთიანი და დამოუკიდებელი ადვოკატურის სახლის სამშენებლო სამუშაოები რამდენიმე თვეში დასრულდება.



ადვოკატთა ასოციაციამ კოვიდ-რეგულაციების პირობებში ადვოკატების ციხეებში ვიზიტის გასამარტივებლად შეთანხმებას მიაღწია

პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების შესაბამისად პენიტენციურმა დაწესებულებამ ციხეებში ვიზიტთან დაკავშრებული ახალი რეგულაციები აამოქმედა.
ადვოკატთა ასოციაციამ კი ახლად დაწესებული შეზღუდვების ადვოკატებისთვის გამარტივების მიზნით პენიტენციურ სამსახურთან მოლაპარაკებები აწარმოა.

ადვოკატთა ასოციაციისა და სამედიცინო დაწესებულება "ციტოს" შორის შეთანხმებია შედგა, რომლის მიხედვით PCR ტესტის ჩატარება ადვოკატებს განახევრებულ ფასად, 60 ლარად შეუძლიათ.

მხარეებს შორის შეთანხმების მიხედვით დაწესებულებაში ვიზიტისას ადვოკატებისთვის კლიენტთან ბარიერს მიღმა შეხვედრისას კოვიდ-ტესტის პასუხის წარდგენა სავალდებულო არ არის და მათ ბარიერს მირმა შეხვედრა მხოლოდ ტემპერატურის კონტროლის შემდეგ შეუძლიათ.

რაც შეეხება, დაცვის ქვეშ მყოფთან პირისპირ შეხვედრას, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ყველა ვიზიტორისთვის ბოლო 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR ტესტის უარყოფითი პასუხის წარდგენა სავალდებულოა, ადვოკატებისთვის აღნიშნული პროცესის შემსუბუქების მიზნით, ასოციაციამ სამედიცინო ცენტრ "ციტოსთან" ხელშეკრულება გააფორმა.

ადვოკატთა ასოციაციამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასებები შეიმუშავა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის დაკვირვებისა დასამოსამართლო კანდიდატების შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომლის ფორმირება ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის წევრთაგან განხორციელდა.

სამუშაო ჯგუფის მიერ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასებები USAID/PROLoG-ისა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) ექსპერტთა მხარდაჭერით შემუშავებული სპეციალური მეთოდოლოგიით, სამართლიანი და ობიექტური კრიტერიუმების საფძველზე განხორციელდა.
უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასებები საქართველოს პარლამენტს გაეგზავნა.

დოკუმენტი ასოციაციის ვებსაიტზეა განთავსებული.

საარჩევნო სისტემის რეფორმის თემაზე სამუშაო ჯგუფმა შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა

ევროპის საბჭოსა და USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფის წევრებმა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და მმართველი ორგანოების არჩევნების პროცესებთან დაკავშირებული გამოწვევები და ხარვეზები განიხილეს, განისაზღვრა სამომავლოდ განსახორციელებელი აქტიოვბები, მათ შორის - საარჩევნო პროცესის უფრო მაღალი სანდოობით, გამჭვირვალობით და გამართულად წარმართვის მიზნით საარჩევნო პროცესში სპეციალური საარჩევნო ელექტრონული პორტალისა და ხმის დამთველი ოპტიკური სკანერების სისტემის ინტეგრირების საკითხები, რომელზეც ადვოკატთა ასოციაციას, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, უკვე დაწყებული აქვს მუშაობა.

ასევე, შემუშავდა სპეციალური, ონლაინ კითხვარი, რომელიც აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით წევრთა მოსაზრებების გამოვლენას ითვალისწინებს. კითხვარი შესავსებად ასოციაციის ყველა წევრს გაეგზავნა.

სამუშაო შეხვედრა კომიტეტების საქმიანობის შესახებ

ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების სტრუქტურაზე, საქმიანობასა და ეფექტიანობის გაზრდის საშუალებებზე იმსჯელეს სამუშაო შეხვედრაზე აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა.
ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტმა, ჯონათან გოლდსმიტმა ასოციაციის წარმომადგენლებს კვლევის შედეგები და რეკომენდაციები წარუდგინა.

სამუშაო შეხვედრაზე ადვოკატთა ასოციციის ახალი საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვა და დისკუსიაც გაიმართა.
შეხვედრა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა.

ახალი საკომუნიკაციო სტრატეგიის პრეზენტაცია

ადვოკატთა ასოციციის ახალი საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვა/დისკუსია გაიმართა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრების სამუშაო შეხვედრაზე.

ახალი საკომუნიკაციო სტრატეგია იმ კონკრეტულ საკითხებსა და მიმართულებებს ითვალისწინებს, რომლებიც ასოციაციის ეფექტიანი კომუნიკაციისა და პოზიციონირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან მიმართებაში, რომლებთანაც ასოციაცია თანამშრომლობს.

ექსპერტის მიერ, ასევე, შემუშავდა ის ძირითადი აქტივობები, რომელებსაც ადვოკატთა ასოციაცია, ამ მიმართულებით, მომდევნო 2 წლის განვალობაში განახორციელებს.

ახალი საკომუნიკაციო სტრატეგია ევროპის საბჭოს მხარდაჭერით შემუშავდა.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები

ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მორიგი სესია ჩაატარა. საგამოცდო სესიები 23 ივლისს დაიწყო და 29 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა. გამოცდებში 663 პირი მონაწილეობდა საერთო სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მიმართულებებით. მათ შორის გამოცდა წარმატებით ჩააბარა 166-მა მონაწილემ.

საკვალიფიკაციო გამოცდები კოვიდ-რეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა.

საგანმანათლებლო აქტივობები

ადვოკატის პორტალზე საანგარიშო პერიოდში, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში საჭიროებათა კვლევის შედეგად შერჩეული ახალი ტრენინგები განთავსდა.

საანგარიშო პერიოდში განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში 18 ტრენინგი ჩატარდა.

თითოეული ტრენინგისთვის შემუშავებული მოდული ადვოკატთა საქმიანობის თავისებურებებზეა მორგებული.
ტრენინგები, როგორც დისტანციურად, ასევე, ფიზიკურ სივრცეში მიმდინარეობს. უკვე არსებულ ტრენინგებს ახალი ტრენინგები ეტაპობრივად ემატება.

ბავშვთა უფლებებში სპეციალიზებულის სტატუსი დამატებით 94 ადვოკატს მიენიჭა, ხოლო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულის სტატუსი დამატებით 64 - მა ადვოკატმა მიიღო.